№ 170

ხუთშაბათი, 10 აგვისტო 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 70 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 55 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

№ 170

ხუთშაბათი, 10 აგვისტო 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაგარეგლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

გამგეობა ქართულის დრამატიულის საზოგადოებისა

ამით აცხადებს, რომ 20 აგვისტოდგან დაიწყება გამოსაცდელი წარმოდგენები. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს დასში, კეთილ ინებოს და შემოიტანოს თხოვნა 15 ამ თვემდე, თეატრის დარბაზში 12-დამ 1 საათამდე ყოველდღე.

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა სოკოლოვსკიმ ამ თვის 7 ბრძანება გასცა, რომლითაც ავალებს ტფილისის ბოქაულებს, დაუყოვნებლივ მოიწვიონ ქალაქის გამგეობის მიერ პოლიციის სხვა-და-სხვა განყოფილებებში დანიშნული ექიმები და მათთან ერთად დაათვალიერონ მეეტლეების საბირჟო ყავახანები, მათი ეზოები, სამზარეულო, ჭურჭელი და სხვანი, სუფთად არიან თუ არა შენახულნი სანიტრულის მხრივ და ყველა ამის შესახებ მოხსენება წარუდგინონ და ჯეროვანი განკარგულება მოახდინონ.

გარდა ამისა პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელი ბოქაულების ყურადღებას აქცევს აგრეთვე იმას, რომ ღამით მოდარაჯე პოლიციის მოხელენი კარგად არ ასრულებენ თავისს მოვალეობას და საჭიროა ერთი ორად მეტი ყურადღება მიაქციოთ ამასაო.

*** მისაღები და განმეორებითი ეგზამენები ტფილისის წმიდა ნინოს სასწავლებელში 26 აგვისტოს დაიწყება. ასეთივე ეგზამენები ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში დაიწყება ოც-და-ხუთს აგვისტოს; სწავლა-კი პირველს სექტემბერს.

*** ტფილისის სამოქალაქო სახელოსნო სასწავლებელშა მისაღები ეგზამენები 25, 26 და 28 აგვისტოს იქნება დანიშნული. განმეორებითი ეგზამენები ოც-და-სამს და ოც-და-ოთხს.

*** ქართულის დასის არტისტი კ. მარჯანიშვილი მიდის ქ. მოსკოვში დრამატიულ ხელოვნების შესასწავლად.

*** როგორც დღევანდელი დრამატიული გამგეობის განცხადებისაგან სჩანს, აგვისტოს უკანასკნელს რიცხვებში გამოსაცდელი წარმოდგენები იქნება იმ პირთათვის, ვისაც სურთ სცენაზედ მოღვაწეობა. ჩვენ გვაცნობებენ, რომ ხუთიოდ პირს უკვე გა-ნუცხადებია ეს სურვილი და თხოვნებიც შეუტანიათ გამგეობასთან. გამოსაცდელ წარმოდგენისათვის არჩეული იქნება ერთი ორიგინალური და ერთიც ნათარგმნი პიესა, როგორც დრამატიული ხასიათისა ისე კომიკურისა.

*** ს. ხუმელაგა, (კავკავის მაზრა): ს. ხუმელაგაში ეს ერთი კვირაა, რაც ყელჭირვებამ იჩინა თავი და სამი ყმაწვილი კიდევაც იმსხვერპლა; საჭიროა, ყურადღება მიაქციოს ამ სენს, ვისიც ჯერ არს, თორემ დიდი განსაცდელი მოელის სოფელს. მკათათვის შუა რიცხვებიდგან აქეთ ძლიერ დიდი სიცხეები დაიჭირა და სიმინდები წაახდინა.

## შეცდომის გასწორება.

—

გუშინდელს №-ში შეცდომით არის მე 8-ე ახალ ამბავში მადლობა ყველა არტისტების სახელობაზედ გამოცხადებული; მადლობას მხოლოდ ქალბატონს მ. საფაროვისას უხდის სტუდენტი ალ. ბეთანიშვილი, რომელსაც 15 მან. და 10 კაპ. მარკების ფული შეუწირნია სტუდენტებისათვის.

## დამკვირდი

—

ის აზრი, რომ გენიოსობას საზღვარი აქვს და უგუნურობას-კი არა, დრო-გამოშვებით საშინლად მაწუხებს ხოლმე.

ალექსანდრე დუმა-შვილი.

**

ქორწინების უღელი იქამდის მძიმეა, რომ მისის ზიდვისათვის ორი ადამიანია საჭირო უთუოდ, გარნა ხანდისხან სამიც.

ალექსანდრე დიუმა-შვილი.

## კორესპონდენცია.

—

**ს. ბალთა.** რასაკვირველია დიდად სასიამოვნოა და სანატრელი ისეთი მოძღვარი, როგორიც არის, დასურათებული „,ივერიის“ მე-160 №-ში ბ. ბოცვაძისაგან. ეს მღვდელი მამა მაჭარაშვილი გახლავთ.

ყოველი ჩვენგანი მოვალეა როცა რომელსამე საგანს ეხება ჭეშმარიტება და სიმართლესაქმისა ნათლად და გარკვევით დაგვანახვოს. აი სწორედ ეს მაიძულებს ბ-ნ ბოცვაძეს მივსცე ორიოდე შენიშვნა შესახებ მ. მაჭარაშვილის ქება-დიდებისა.

ერთის ნახვით ადამიანი არ გაისინჯება და ერთის გავლით სოფელიო. თუ ბ-ნ ბოცვაძეს დაწვრილებით გამოეკითხნა რომელიმე სოფლელისათვის ამ მოძღვრის შესახებ, დარწმუნებული ვარ, ის მაშინ აღარ იტყოდა: „,მამა ბესარიონ მაჭარაშვილი ბევრსა ცდილობს, რომ იქაურ მკვიდრთა შორის ქრისტიანული სწავლა-მოძღვრება მოჰფინოს და მაგარს ნიადაგზედ დააყენოს(!) მამა მაჭარაშვილს არ აკლია არც მხნეობა და არც თავგამოდება ამ კეთილს გზაზედ მოღვაწეობისათვის“... ბ-ნ ბოცვაძისა კი რა მოგახსენოთ და მე-კი ჩემის მხრივ და თითქმის მთელი სოფელიც ამას მოგახსენებთ, რომ მამა ბესარიონს საზოგადოდ ჩვენი „სოფლისათვის არა გაუკეთებია-რა იმის მეტი, რაც მის მოსვლის აქეთ თითო კომლს კაცს 1 მ. 50 კ. მოემატა ხარჯი ფულად.

აი ბატონო, მამა ბესარიონის ჯერეთ ისევ მთავარ-დიაკონის ჩვენდა მომართული სიტყვები: „,ოღონდ მითხოვეთ თქვენ მღვდლად, მღვდლობა მეღირსოს და თუ გინდათ ერთ კაპეიკსაც ნუ მომცემთ გასამრჯელოსა, გარდა ამისა მთელ ჩემ ძალღონეს ბავშვების და მოზარდ თაობის სწავლა-მოძღვრებას შევალევო“. ეს უკანასკნელი აზრი, ე. ი. ბავშვების სწავლება მის ეპისკოპოსის მიმართ თხოვნაში გახლდათ მოხსენებული. მერე რას ვხედავთ და რა გამოვიდა ამ პირობებიდგან? არაფერი იმის მეტი, როგორც ზემოთ ვსთქვით, ე. ი., რომ საწყალს ჩვენ სოფლელებს ტვირთზედ ტვირთი დაერთოთ. მამა ბესარიონს ბალთელების თხოვნით ღირსა მღვდლობა.

დიაღ, მ. ბესარიონი დიდად დავალებულია ბალთელებისაგან, მაგრამ სამწუხაროდ ის ამ ბოლო დროს, როდესაც თავისი საქმე უკვე გაიჩარხა, ივიწყებს ამ ამაგს.

ჯერ-ჯერობით გავჩერდები აქ და თუ ვინიცობაა ვინმე—გამომელაპარაკა, მზად ვარ, ამ საგანზედ—დავაკმაყოფილო.

ერთი არა სასიამოვნო ამბავიც: ამ რამდენიმე წლის წინად ბალთელებმა, როგორც ქართველებმა, ისე ოსებმაც სთხოვეს მთავრობას, მოეცა ადგილი სადმე ჩრდილო კავკასიაში დასასახლებლად. (აქ ესენი დროებით არიან). როგორც გავიგეთ ოსებს უკვე გამოსვლიათ ეს ნებართვა და მგონი კიდეც აპირებენ დანიშნულ ადგილს გადასახლებას. თუ ეს გამართლდა, თქვენი მტერი ქართველებს ვერაფერი საქმე მოუვათ; იქნება მთავრობამ 23—25 ქართველისათვის აღარ იცნოს მღვდელი საჭიროდ და უმოძღვროდ დაგვტოვონ.

ღვთით, ამ წელს კარგს მოსავალს მოველით სიმინდისას. შარშან ძალზედ დავზარალდით.—

დათიკო ჭონიშვილი.

—

**ლამის-ყანა,** (გორის მაზრა). მო-

## ფელეტონი

—

### მომხმარებელი ამხანაგობანი ჩვენსა და სხვა ქვეყნებში.

„ვისაც ჰსურს იცოდეს—რა მოხდება, მან ყურადღება უნდა მიაქციოს მას, რაც მომხდარა“.

მაკიაველი.

ამბობენ, საყოველთაო უბედურება, გაჭირვება ხალხის გაფანტულს, დაქსაქსულს წარმომადგენელთ ერთად თავს უყრის, აკავშირებს და შეერთებულის ძალ-ღონით ამოქმედებს ხოლმე გაჭირვებულ მდგომარეობიდგან თავის დასაღწევადაო. ჩვენის ხალხის წარსულს ცხოვრებაშიაც მოიპოვება ასეთი მაგალითები. თუ ასე პატარა ერმა, როგორსაც ქართველები წარმოადგენენ, აუარებელი მტრები სძლია, თავისი ეროვნება შეინახა და მეცხრამეტე საუკუნემდის მოაღწია, ამისს მიზეზს უნდა ვეძებდეთ ხალხის იმ თვისებაში, რომელსაც ეწოდება ძმობა და ერთობა ჭირსა და ლხინში. უამისოდ, უეჭველია, ერი ერად ვერ დარჩება და დედამიწის პირიდგან აღიგვება. წინად, ამ საუკუნის დასაწყისამდის, ქართველი ერი თითონვე იყო პატრონი თავისის თავისა; იგი აძლევდა პასუხს გარეთ ურიცხვს მტრებს და შინაური საქმეც კარგად მიჰყავდა. მართალია ეხლა გარეშე ფიზიკურ მტერთაგან უზრუნველ-ყოფილი ვართ, მაგრამ, სამაგიეროდ, შინ გვყავს სხვა ძლიერი მტრები, რომელთა შორის უმეცრება, უსწავლელობა და ქონებრივი სიღარიბე, რომელნიც უფრო ადვილად და, ერთი შეხედვით შეუმჩნევლად განადგურებას გვიქადიან. პირველს, ამ შინაურს მტერთაგანს, მცირე გუნდმა შეერთებულის ქართველებისამ კაი ხანია გამოუცხადა ომი. ასე რომ ამ მხრით ჩვენის ხალხის მდგომარეობაზედ რამდენიც არ იყოს მიქცეულია ყურადღება. მაგრამ სამწუხაროდ ხალხის ნივთიერად წარმატებისათვის არაფერი შესამჩნევი ზრუნვა სჩანს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აქა-იქ ორიოდე ამხანაგობას, რომელთაც თავისს საგნად გაუხდიათ შეერთებული ღონით შეუმსუბუქონ ბეჩავს ხალხს მძიმე უღელი ნივთიერის სიღარიბისა. ხოლო ეს უკანასკნელნიც სულ ამ ბოლოს დროს დაარსებულან [1]).

ადგილ-ადგილ ჩვენს პატარა ქვეყანაში, საბედნიეროდ, შეგნებულ-შესმენილმა ნაწილმა ხალხისამ კარგად გაითვალისწინა და აფასებს იმ დიდებულს აზრს, რომ ხალხის ეკონომიურად წარმატებისათვის მხოლოდ შეერთებული, ურთიერთ შორის ნივთიერ ინტერესების შემსუბუქება არის პირველი საშუალება. რადგან ამხანაგობები, განსაკუთრებით-კი მომხმარებელი, წარმოადგენენ ახალს საქმეს ჩვენს ცხოვრებაში და უცნობნი არიან უმეტესობისათვის, ამიტომ ამ თავად მოვიყვან მოკლედ ცნობებს იმის შესახებ, თუ ურთიერთ-შორის კავშირის დადების ძალით, შეერთებით რა კეთდება სხვაგან და რა ადვილად, იაფად აკმაყოფილებს ხალხი თავისს უსაჭიროესს მოთხოვნილებათ. ავიღოთ მაგალითისათვის პაწაწა სახელმწიფო ბელგია [2]).

ჯერ კიდევ მეოთხმოც და ათე და და მესამოცე წლებში შესანიშნავის სისწრაფით აარსებდნენ ბელგიელები მომხმარებელს ამხანაგობებს, მაგრამ მე-80 წლებამდის სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო ეს უკანასკნელნი მოკლებულნი იყვნენ ცხოველ-მყოფელს მოქმედებას. მხოლოდ ამ 15 წლის წინად მოიკიდეს მაგრად ფეხი ამხანაგობებმა ბელგიაში და კიდევაც გახდნენ ხალხისათვის დიდებულ საქმედ. ეს ხალხი მხნე და მარჯვეა და მშვენიერადაც ჰსარგებლობს თავისს განათლებულ მეზობლების დიდის გამოცდილებით. ბელგიელები სრულიად არა სცდებიან, თუ მომხმარებელს ამხანაგობებს დიდს მნიშვნელობას აძლევენ ცხოვრებაში. მომხმარებელი საზოგადოება იმათთვის წარმოადგენს საშუალებას, რომლის მეოხებით ბელგიელები თავიდგან იშორებენ შუამავლებს მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის, ეხლანდელის საძვირე მამასისხლობას და სასყიდელ საქონელთა სიყალბეს. „,ჩვენში“, ამტკიცებენ ისინი,—„,ორ მილიონს ხალხზედ მოდის 244 ათასი კაცი, რომელნიც მარტო ვაჭრობით სცხოვრებენ, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ—9 მუშას მოსდის ერთი ვაჭარი. ვაჭრების ასეთი სიმრავლისა გამო ყოველივე სასყიდელი საქონელი—ნივთი გვიჯდება ორჯელ, სამჯერ უფრო ძვირად თავისს ღირებულებაზედ; ნამდვილი ერბოს ნაცვლად ჩვენ გვაჩეჩებენ ხელში მარგარინს, რძის მაგიერად—რაღაც მიქსტურას, ნავთი შეზავებულია სხვა-და-სხვა ნივთიერებით და თევზის ქონად საღდება და სხ. და სხ. უპირველესად მომხმარებელი ამხანაგობანი გვიფარავენ ჩვენ შუამავლების ჩვენის ჯანმრთელობისათვის საშიშარ-მავნებელ სამსახურისაგან. ამხანაგობათა შემწეობით ჩვენ შეგვიძლია 25%-ით უფრო იაფად ვიქონიოთ საქონელი, ვინემ ბაზარში, სხვა აუცილებლად (ყოველ-დღიურად) საჭირო საქონელი 17%-ით უფრო იაფად და ამსთანავე ახალი, საღი და სრულიად წმინდა; ტანისამოსი-კი—12%-თ ნაკლებ და სხვ. ასეთი თავ-დაჭერილობა მეოჯახობაში შეძლებულთათვისაც ხელ-საყრელია, მუშა კაცისათვის ხომ ზედ-მისწრებაა. ამის წყალობით გლეხს შეუძლია იქონიოს საღი საჭმელი, ჩაიცვ-დაიხუროს უკეთ და ადამიანურად მოეწყოს. ამას გარდა ამხანაგობებს აქვთ მეორე უფრო სასარგებლო მხარეც, აჩვევს ხალხს საქმის-წარმოებას, ავითარებს მათში თანხმობის გრძნობას, ერთობას და ამას გარდა ამხანაგობები ხდებიან იმათთვის ერთგვარად საზოგადო ცხოვრებისათვის პატარა მოსამზადებელ სკოლად.“ ეხლა მომხმარებელი ამ-

[1]) მე ვამბობ შემდეგ ამხანაგობაზედ: ოზურგეთის მეეტლეთა ამხანაგობა, კახელ მემამულეთა ამხანაგობა და ბ-ნ მაჩაბელისაგან ქიზიყში დაარსებული სავაჭრო ამხანაგობა,

[2]) იხ. გაზ, „Русск. Вѣд“. 18—19 აპრილამდის ამ 1895 წ.

გვხსენებათ, თუ რა გაჭირვებასა და ვარამსა სცდის ამ დროში სოფელი, მეტადრე ხალხი დაბალის წოდებისა! დატვირთული და დამძიმებული ათასის სამსახურითა და გარდასახადით კერძო და სახელმწიფო მოვალეობის აღსასრულებლად, იგი წელში მოხრილი ჰკვნესს და გმინავს ყოველის ნაბიჯის გადადგმაზე... ერთის მხრით მოკლებული ყოველს ღონისძიებას, ჩამოაკლოს რაიმე თავისის ოფლით მოპოვებულს და შეინახოს „შავის დღისათვის" და მეორეს მხრით—დაშორებული გარეშე შემწეობას, ანუ შემწეობას მისას, ვისაც ვალი აქვს იზრუნოს ხალხის კეთილ-დღეობისათვის,—საწყალი გლეხი ხშირად ხდება ხოლმე მსხვერპლად ისეთის მცირე და ადვილად მოსარჩენის ავადმყოფობისა, რომელსაც ,,ბეცისაგან დაჯილდოვებულნი" ეწოდების... რადა? რისთვის? მათა და იმისათვის, რომ მრავალგვარ მოვალეობას ისე ამოუცლია ქისა მარჯვენა მადლიანის მუშისა, რომ საწამლი ფული აღარა აქვს; აღარა აქვს ღონე მეცნიერებისაგან ნაჩვენების გზით ებრძოლოს ავადმყოფობას და ამგვარად ადრე და მალე მიემგზავრება საუკუნო სავანისაკენ...

ჩვენ—ლამის-ყანელებს—ეს მძიმე და სავალალო გარემოება განგებამ აგვაცილა, მით რომ პატივცემული კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა გამოგვიგზავნა მფარველად და მზრუნველად!—

ყოველს კვირა დღეს ,,ჩვენის ბატონის მარიამის" მეოხებით ჩვენს სოფელს ტფილისიდამ ესტუმრებიან ხოლმე ექიმი მაღალაშვილი და ბებია-ქალი დემურიასი; მათ დახვდებათ ლამის-ყანაში კნეინა მარიამის ეზოში შეკრებილი ყველა იმ სოფლის ავადმყოფი ქალი და კაცი; ყველა მათგანი მისულ მკურნალებს უამბობენ ხოლმე თავიანთს სატკივარს. ისინიც ყველა ყურს დაუგდებენ, გასინჯვენ, გამოიკვლევენ; დარიგებას და რჩევას აძლევენ; შემდეგ „რეცეპტებს" დაუწერენ, მძიმე ავად-მყოფთ დილიდგან საღამომდის თვალ-ყურს ადევნებენ და შემდეგ ტფილისშივე ბრუნდებიან.

დაწერილი „რეცეპტები" გარდაეცემა ხოლმე კნეინა მარიამს, რომელიც თავისისავე ფულით ყიდულობს წამლებს და თავისისავე დედობრივის, მზრუნველის ხელით ასმევს ავადმყოფს და თვითვე უვლის თვითოეულს მათგანს კვირიდგან—კვირამდის...

ეს ღვაწლი, ეს დავალება, ეს წვლილი შეწირული კნეინა მარიამისაგან ჩვენის სოფლის მიმართ, იმდენად საფასო და დიდებულია, რომ მე მისს დაფასებას ვერ შევსძლებ. დღეს ეს დამრჩენია ვსთქვა, რომ, თუ ჩვენი ლამის-ყანელი საწყალი ხალხი ვერ გარდაუხდის,—ღმერთი მაინც დააჯილდოებს კნეინა მარიამის ღვაწლს!..

ერთი გლეხთაგანი.

*) დიდის სიამოვნებით ვსტამბავთ ამ სანუგეშო ამბავს და ვისურვებთ, რომ ამ პატივცემულს მოღვაწეს, ღირსეულის მშობლის ღირსეულს ასულს—კნეინა მარიამ ვახტანგის ასულს ჯამბაკურ—ორბელიანსას—მრავალნი თუ არა, რამდენიმე მაინც გაუჩნდნენ წამბაძველნი.

რედ.

## ძველი ხელთ-ნაწერი.

ქ. სტავროპოლში ერთს ჩემს ნაცნობს რუსს აქვს ხუცური ხელთ-ნაწერი. ნაწერია მშვენივრად ნაკეთებს ტყავზედ, შეიცავს ოც-და-ათამდე ქადაგებას; მხოლოდ ვის ეკუთვნის, ვინ არის ამ ქადაგების ავტორი, ეგ მე ვერ გავიგე. ხელთ-ნაწერს ფიცრის ყდა აქვს, ზემოდგან ტყავ-გადაკრული. ერთს ყდაზედ აწერია Феодора Студита", მაგრამ როგორც მელანზედ ეტყობა, ეს არის ახალი წარწერა და რადგანაც წარწერაც რუსულად არის, ამისათვის არ შეიძლება დაჯეშმარიტებით თეოდორე სტუდიტს მივაწეროთ ავტორობა ამ ქადაგებებისა. წიგნი შეიცავს ორგვარს ხელთნაწერს: წინა ოც-და-თოთხმეტი ფოთოლი ნაწერია სქელ-ძველებურს ქაღალდზედ, მხოლოდ მეორე ნაწილი, რომელიც შეიცავს ორას-ორს გვერდს, მშვენივრად ნაკეთებს ტყავზედ არის ნაწერი, ნამეტნავად მეორე ნაწილი, რომელიც პირველს დახედვაზედ ნაბეჭდი გვეგონა. უნდა ვიფიქროთ, რომ პირველი ნაწილი ტყავზედ ნაწერ ქადაგებებისა დაკარგულა და შემდეგში ვინმე პირს ქაღალდზედ გადაუწერია დაკარგული ქადაგებანი და მიუწებებია ტყავზედ ნაწერისთვის. მხოლოდ ამ ქაღალდზედ ნაწერსაც აკლია სამი ფოთოლი, რადგანაც წიგნი იწყება რიცხვით Ⴃ. (4). პირველს ქადაგებას აქვს შემდეგი სათაური: პირველსა ხორციელისა მარხვისათვის და წინამდებარისა მის ჩვენდა მოწევნადის, ეს სათაური, აგრეთვე ყველა ქადაგების სათაურნი, წითელი მელნით არის ნაწერი. ქაღალდზედ ნაწერი თავდება ქადაგებით, რომელსაც შემდეგი სათაური აქვს: ყველიერისა: კვირიაკესა მწუხრი ესე წარიკითხვის. და ყოველნი ძმანი ზედგომით ისმენდნენ:— ამ ქადაგებისა მხოლოდ ოთხი ფოთოლია და ქაღალდზედ ნაწერ და ტყავზედ ნაწერ შუა ორი-სამი ფოთოლი უნდა აკლდეს ჩემის ფიქრით. ქაღალდზედ ნაწერის შემდეგ იწყება სულ სხვა ხელთ-ნაწერი ტყავზედ გვერდის მეოთხედიდგან, ქადაგება შემდეგის სათაურით: საშაბათსა პირველისა შვიდეულისა ხსენებისათვის სიკვდილისა და სიტყვის გებისა ყოველთა ჩვენთათვის წინაშე საშინელსა სამსჯავროსა. თავდება წიგნი ქადაგებით სულ ბოლო ფურცელზედ შემდეგის სათაურით: ორშაბათსა ვნების კვირიაკისასა ცხოველის მყოფელისა ვნებისათვის: მაცხოვრისა და სწავლაჲ სიმდაბლისაჲ და მონებისათვის. ბოლო წიგნისა დაკარგულია.

ტყავი შიგა-და-შიგ დახეულია და წმინდა ძარღვით მშვენივრად, საკვირვლად არის დამოწმებული (დაკერებული). ორგან ფოთოლიც აკლია. წიგნის მინდვრებზედ რამდენიმე შენიშვნაა; როგორც ეტყობა მელანზედ, შემდეგშია შეტანილნი ეს შენიშვნანი. ეს შენიშვნანი ვერ გავარჩიე. საზოგადოდ ეს წიგნი საინტერესო უნდა იყოს ჩვენის ისტორიკოსებისათვის, მასში ბევრი კაი ქადაგებანი არიან მოქცეულნი და შეიძლება ამ ქადაგების ავტორიც რომელიმე ქართველი ბერი და მოძღვარი იყოს. წიგნის პატრონი აფასებს წიგნს ერთ თუმნად და თუ რომელიმე პირი მოინდომებს ამ წიგნის სყიდვას, შეუძლიან ადრესი შეიტყოს ,,ივერიის" რედაქციაში.

აქავე ერთს ეკკლესიაში არის ვარსკვლავი და ბარძიმ-ფეშხუმი შემდეგის ზედ-წარწერით: ,,ქ. წმინდისა ამის შემწირველ გურიელი მამა მოიხსენე უფალო აქ წელთა სიმრავლეთა, ხოლო საუკუნესა ცხონებითა. ქორ. ქრისტეს აქეთ ჩღკგ".

მცხეთელი.

## რუსეთის ცხოვრება.

—

იმ კომისიის პროექტის შესახებ, რომელიც უნდა შემუშავებულიყო ხელახლად, თუ როგორ უნდა შეცვლილიყო სწავლა-მიღებულთა სამხედრო ბეგრის ვალდებულება, ან რა შეღავათი უნდა მისცემოდით მათ, გარდაწყვეტილია, ამ მიმდინარე წლის შემოდგომაზედ ხელ-ახლად იქმნას შემუშავებული იმავე კომისიის მიერ, რომელსაც ამისათვის კიდევ მიემატება რამდენიმე ახალი წევრი.

—

ამ მომავალ სამოსწავლო წლიდგან მთავრობას განზრახვა აქვს ზოგიერთს სასულიერო სემინარიებში მებაღეობისა და მებოსტნეობის სწავლება შემოიღოს, რომლის ხარჯსაც საქმის წარმოებისას სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო კისრულობს. სამინისტრო გასწევს ყველა საჭირო ხარჯსა და თითონვე დაუნიშნავს ხოლმე სამეურნეო მრეწველობის მცოდნე პირთ მასწავლებლად მეურნეობის შესასწავლებლადაო, ამბობს გაზ. ,,ნოვოე ვრემია".

—

რკინის გზების სიგრძე რუსეთში 34.856 ვერსია. აქედგან გზათა უწყების სამინისტროს განკარგულებაში 31.405 ვერსია, ხოლო სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში 1.343 ვერსი. მათს განკარგულებაშია აგრეთვე ფინლიანდიის რკინის გზები სიგრძით 2,108 ვერსი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

ინგლისისა და გერმანიის ერთმანეთში დამოკიდებულების შესახებ ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ფრანგული გაზეთები. „ტან"-სს ინგლისისა და საფრანგეთის გაზეთების პოლემიკის მიმოხილვის შემდეგ შემდეგი დასკვნა გამოჰყავს:

„ორში ერთი უნდა ამოირჩიოს ინგლისმა,—ან სამთა კავშირს შეუერთდეს,—ან-არა და სრულიად ხელი აიღოს ასეთს თამაშზედაო. ხოლო ეს შეერთება იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ ინგლისი ოფიციალურს კავშირს შეჰკრავს და შესაფერს მოვალეობას თავისზედ იკისრებსო. წინაალმდეგს შემთხვევაში, ტყუილად ნურაფერზედ ელაპარაკება გერმანია ინგლისს, თუ სასაცილო და უგუნურს მდგომარეობაში არა ჰსურს ჩავარდესო.

—

,,მემორიალ დპლომატიკ"-ში იწერებიან რომიდგან, რომ ამ ჟამად იტალიაში დიდი მზადებაა თურმე სამხედროდ.

სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა დაათვალიერონ ყველა საინტენდანტო საწყობები, საკმაო ტყვია-წამალია თუ არა იმ შემთხვევისათვის, რომ ომი ატყდეს. საზღვაო მინისტრმაც ვრცელი ანგარიშები მოითხოვა იმის შესახებ, თუ ამ ჟამად რა მდგომარეობაში არიან სამხედრო გემები. ამ ანგარიშს უნდა ჩაურთონ შიგ ცნობები აგრეთვე იმის შესახებ, თუ სამხედრო სურსათი რამდენი და რა თვისებისაა სპეციის თოფხანაში და სხვა საწყობებში. გარდა ამისა, ამ ბოლო დროს ბევრს თავისუფალ პრაქტიკანს ექიმს დაეკითხა მთავრობა, ჰსურთ თუ არა ომის დროს საავადმყოფოებში სამსახური. სამხედრო წრეებში ჰფიქრობენ, რომ ამ მომზადებას უთუოდ დიდი საახალშენო ექსპედიცია ექნება აზრადაო".

---

ხანაგობანი, რომელნიც გროშებით დაარსებულან, მოთავსებული არიან სრა-პალატებში და მილიონებს ატრიალებენ.

ბელგიაში ეხლა არსებობს მრავალი სხვა-და-სხვა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება. აქ აზრი და სარგებლობა ამხანაგობათა კარგად შეიგნო მომხრე მუშა ხალხმა, და როცა ცხოვრება ფრიად ძვირი შეიქმნა, აქა თუ იქ შეერთდნენ მუშათა ოჯახნი ნარდად სანოვაგეთა საყიდლად. ამ გვარად ნაყიდს ნივთებს ჯერ სადმე სარდაფში ან ქოხში აწყობდნენ ხოლმე და შემდეგ კვირაში ერთხელ ანუ ორჯერ ურიგებდნენ მონაწილეებს. ყველა ჰხედავდა ასეთი ამხანაგობის საჭიროებას და სარგებლობას, ამიტომ მონაწილეთა რიცხვი ჩქარა იზრდებოდა, ვაჭრობა და ფულის ტრიალი მატულობდა, რის გამო ძველს შენობაში დარჩენა შეუძლებელი ხდებოდა და ამხანაგობა იძენდა უფრო ფართო, ყოველ დღე ღია სავაჭრო სახლს. ყველა ამხანაგობანი მცირე ნასესხები ფულით იწყებდნენ ხოლმე საქმის წარმოებას; მაგალითად, ერთმა სახელ განთქმულმა ამხანაგობამ Vooruit-მა ოპერაცია დაიწყო ათასი ფრანკით.

ბელგიის ამხანაგობანი გამოიწვია ეხლანდელმა ცხოვრების და ვაჭრობის გარემოებამ. ამ უკანასკნელს წლებში მომხმარებელ ამხანაგობათა რიცხვი ნამეტანად გამრავლდა; ამხანაგობათა დაარსებაზე დიდი გავლენა იქონია ზემოხსენებულის Vooruit-ის ამხანაგობის წარმატებამ. ამ უკანასკნელმა ამხანაგობამ დაიწყო თავისი მოქმედება სარდაფში 1880 წელს და ეხლა იმას თავის მმართველთა მხნეობისა და გამოცდილების წყალობით უჭირავთ სადგომ-საწყობად მთელი სასახლე, რომელიც განათებულია ელექტრონით და მოწყობილია ასატან-ჩასატანი მანქანებით: ერთი სიტყვით, ამ დაწესებულებამ გამოიყენა მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა. წახალისებული ასეთის გამარჯვებით სხვა ამხანაგობანიც დიდის სისწრაფით დაარსდნენ და გამრავლდნენ; უკანასკნელ რვა წლის განმავლობაში დაარსდა 303 ამხანაგობა. ამ ჟამად მომხმარებელ ამხანაგობას ბელგიაში თქვენ შეჰხვდებით თითქმის ყოველ პატარა ქალაქში და სოფლებშიაც-კი. წევრთა რიცხვი თითოეული ამხანაგობისა საოცარი სიჩქარით მატულობს; თითო ამხანაგობაში ათასობით ითვლება წევრი; რასაკვირველია, შემოსავალიც მატულობს, მაგალ.—Vooruit-ს 1892 წელიწადის პირველი ნახევრის განმავლობაში წმინდა შემოსავალი დარჩა 179,955 ფრანკი, Werker-ს—79,968 ფრანკი, Progres-ს—42,489 ფრანკი და სხვ. ასე შემოსავალი, უნდა გახსოვდეთ, მარტო ნახევარი წლის განმავლობაში აქვთ ამხანაგობებს. თავდაპირველად მომხმარებელ ამხანაგობებს აარსებდა მუშა ხალხი, მაგრამ ეხლა, როცა ყველამ დაინახა იმათი აურიცხველი მნიშვნელობა, სხვა წოდების წარმომადგენელთაც დაიარსეს, მაგალ. სასულიერო წოდებამ, დემოკრატ-კათოლიკებმა და სხვ. ამ ფრიად სასარგებლო და დიდმნიშვნელოვანს საქმეს მტრებიც ბევრი აღმოუჩნდა, მაგრამ ასეთი ძლიერსა და სიცოცხლით სავსე მოძრაობაზედ ის მტრები ნემსის უბრალო ჩხვლეტის მზგავსად თუ მოქმედებენ. მომხმარებელი ამხანაგობანი აკმაყოფილებენ ისეთს არსებითს, აუცილებელს მოთხოვნილებებს ერის ცხოვრებისას, რომ იმათი შეჩერება და წინ-მსვლელობის შეკავება, ყოვლად შეუძლებელია. ამას გარდა საქმის მეთაურებმა იმთავითვე ამხანაგობებს ისეთი ცხოვრების შესაფერი ხასიათი და ისე გაამარტივეს საქმის წარმოება, რომ თითოეული ამხანაგობა ხელ-მისაწდომია ყველასათვის. ამხანაგობა ყველას ფართოდ უღებს კარებს; წევრად ჩაწერისათვის არაფერი ფორმალური წესი არ არსებობს; საწევრო შესატანი ფული სულ მცირეა: არსად არ აღემატება 10 ფრანკს, უფრო ხშირად-კი ერთი ფრანკია და ფრანკიც ყველას არ შეაქვს სრულად, მხოლოდ შემდეგში იმის ხვედრი სარგებლიდამ შეავსებენ ამ ფრანკსაც. თითოეულს ამხანაგობას კომერციული, ვაჭრული ხასიათი აქვს. ამხანაგობისაგან წევრები და არა-წევრები ნაღდს ფულზედ ყიდულობენ საქონელს დაკლებით იმ ფასზედ, როგორც ღირს იგივე საქონელი ბაზარში; მოგებიდგან ჰფარავენ ხარჯს ამხანაგობისას და წმინდა შემოსავალს-კი უყოფენ მსყიდველ-მუშტრებს, განურჩევლად იმისა, წევრია იგი თუ არა, პროპორციონალურად, ესე იგი ვისაც მეტი საქონელი ღირებულების მიხედვით უყიდია ამხანაგობისაგან, ის მეტს ფულსაც მიიღებს საერთო სარგებლიდგან, ვისაც ცოტა, ის სარგებელსაც მცირეს მიიღებს. აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამხანაგობას მოაქვს თვალ-საჩინო სარგებლობა (ფულად) არა მარტო წევრებისათვის, არამედ გარეშე ხალხისათვისაც. იმის გამო, რომ ეს ამხანაგობა დაკლებულ ფასზე აძლევს მსყიდველს საქონელს, სხვა ჩარჩ-ვაჭრებიც უკლებენ ფასს.

ყველაზედ უფრო გავრცელდა ბელგიაში ეგრედ წოდებული პურის ამხანაგობა. პური საზოგადო საჭიროებას წარმოადგენს და ეს-კი ხან-და-ხან მეტად ძვირობს. ამიტომ მუშები ადგენენ პატარ-პატარა ამხანაგობებს, აგროვებენ ფულს და აარსებენ კოოპერატიულს პურის საცხობებს ასეც ხდება ხოლმე, გაიგებს თუ არა რომელიმე ყურმახვილი და მოხერხებული მეპურე რომ პურის ამხანაგობას აარსებენ და განზრახვას მალე საქმედაც აქცევენო, შეკვრის პირობით ყველა წევრებს პურს იაფად აძლევს, მხოლოდ კი ამხანაგობა ნუ დაარსდება. ზოგი მუშები ასეთის პირობით კმაყოფილდებოდნენ, სხვანი-კი პირ-აქეთ სარგებლობდნენ პურზედ ფასის დაკლებით და ცოტ-ცოტად აგროვებდნენ იმდენს ფულს, რომ შემდეგში საამხანაგო საცხობი დაეარსებიათ. ასე რომ თითქმის ყველა პურის ამხანაგობაებმა გროშებით დაიწყეს საქმის წარმოება და პირველად თუ რომელიმე პურის საცხობი ბნელს სარდაფში ძლივს

# უცხოეთი

—

**მონტენეგრო.** სამს აგვისტოს ქ. ცეტინიეში, რომელიც პირველი ქალაქია მთელს მონტენეგროში, თავადის ნიკოლოზისა და სხვა სამთავრო სახლეულობის წევრთა თანადასწრებით დიდის ამბით იქმნა ჩაყრილი საძირკველი ახალის, დიდის ყაზარმებისა. საძირკვლის ჩაყრას დაესწრნენ: სადიპლომატო კორპუსი, საქალაქო და სამხედრო მოხელენი, მხედრობანი და დიდ-ძალი ხალხიო, იუწყება დეპეშა.

პირველ გაგონებაზედ ადამიანს ასე ეგონება, მონტენეგრო მართლა რაღაც ბუმბერაზი სახელმწიფოა: ჰყავს ძლიერი მხედრობა, დიდებული სადიპლომატო კორპუსი, აუარებელი და ურიცხვი სამხედრო და სამოქალაქო მოხელენიო და სხვანი; მაგრამ სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ და სასიხარულოდ, ეს ასე როდი არის. წარმოიდგინეთ სვანეთის ოდენა კლდიანი ქვეყანა, სადაც სცხოვრობს 100,000 მცხოვრები. მისი სატახტო ქალაქი—ცეტინიეა, რომლის მცხოვრები ერთიანად დაეტევა ჩვენს ქართულ თეატრში ე. ი.—1,200 სული; მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა ამ პაწია კუთხეს აქვს ყველა ის, რაც ზევით იყო ნათქვამი, აქვს თავისუფლება და არას დროს არ ეშინიანთ იმისი, რომ მას ვინმე თავს დაესხმის, შეაწუხებს და სხ. ის თითქოს ევროპის სულ უმცროსი დაჩაგრული ძმა იყოს, ყველას ებრალება და ცოტ-ცოტათი ყველა მფარველობს. ასე დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ მონტენეგრო შუაგულ ევროპაშია. იგი თავისუფლია! მხედრობანი, სადიპლომატო კორპუსი, საქალაქო და სამხედრო მოხელენი და დიდძალი ხალხი!.. ნამეტურ კარგია დეპეშაში—ეს დიდ-ძალი ხალხი!

—

**შეერთებული შტატები.** მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ კარგა დროა დარჩენილი საპრეზიდენტო არჩევანებამდე, გაზეთები მაინც ეხლავე ლაპარაკობენ იმაზედ, თუ ვინ უნდა იქნეს რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტი. იმ პირთა შორის, რომელთაც პრეზიდენტობის კანდიდატებად ასახელებენ, ძალიან ხშირად ისმის ორი სახელი,—სახაზინო მინისტრის კარლეილისა და სენატორის შერმანისა. ზოგიერთმა გაზეთებმა ამის გამო საჭიროდაც-კი სცნეს მიემართათ პირდაპირ ამ პირთათვის და გამოეკითხნათ, მართლა ჰსურთ თუ არა პრეზიდენტობა; რაზედაც ორივემ განაცხადეს, რომ არავითარი სურვილი არა აქვთ პრეზიდენტად ყოფნისა. ყველაზედ დიდი უარი შერმანმა განაცხადა; ამან სთქვა: უარს ვიტყვი თვით მაშინაც-კი, რომ ყველა ამომრჩევლებმა ერთხმათა მთხოვონ პრეზიდენტობა ვიკისროო. ამის შემდეგ შერმანმა დაასახელა, ვისა სცნობს უფრო ღირსეულად პრეზიდენტობისა; უფრო ღირს კანდიდატებად შერმანმა სცნო ტომას რიდა და მაკ-კინლი, ხოლო ამათ შემდეგ სენატორი ალლისონი. სხვათა შორის, სენატორმა კარლეილმა სთქვა, რომ კლიველენდი ამ არჩევანზედ კენჭს არ იყრის, რამდენადაც-კი ეს ვიციო.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** როგორც პეტერბურგიდგან აუწყებენ დეპეშით ვენის გაზეთს „პოლიტიშე კორესპონდენს“-ს, ჩინეთის მთავრობა უარს ეუბნება იაპონელებს იმ დამატებით 50 მილ. ელეის კონტრიბუციის გადახდის, რომელიც მას ლიატონგის კუნძულის გაწმენდისა გამო შეაწერაო. პირიქით ჩინელები თხოულობენ, რომ სამხედრო გარდასახადი რაც შეიძლება შემცირებულ იქმნას. ევროპიელნიც მართლა ძალიან მეტად სთვლიან შეწერილს გარდასახადს და ამიტომ იმედი აქვთ იაპონელები შეიწყნარებენ ჩინელებს სამართლიანს საჩივარსაო.

---

## წერილები რედაქციის მიმართ.

—

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა ვუძღვნათ იმ პირთ, რომლებმაც ინებეს და შემოსწირეს სურამის სახალხო წიგნთ-საცავს ფული თუ წიგნები: კნ. მარიამ გასტანგის ასულს ჯამბაკურიან-ორბელიანისას, რომელმაც შემოსწირა 5 მ.; ალ. რონიაშვილს—სხვა-და-სხვა საუკეთესო ქართული წიგნები, ღირებული 50 მ.; ქ. ანნა ალექსანდრეს ასულს მანსვეტოვისას—1 მ. 60 კ.; № 80 კ. და №№--2 მ.

აგრეთვე გთხოვთ აღნიშნოთ, რომ 24 ივნისს სურამის ბაღში გამართულ ტფილისის დასის არტისტებისაგან წარმოდგენის შემოსავლიდგან (128 მ. 73 კ.) დარჩა მესამედი სურამის წიგნთ-საცავს 42 მ. 91 კ. დაიხარჯა ამ ფულიდამ 9 მ. 20 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 33 მ. 71 კ. დიდს მადლობას ვწირავთ აგრეთვე აქაურს ქალებს, რომლებმაც შრომა გასწიეს და ბილეთები დაყიდეს.

წიგნთ-საცავის წევრნი დამფუძნებელნი:
{ა. მაჭარაშვილი.
{მ. მურვანიშვილი.

—

საჭიროდ ვრაცხ თქვენის გაზეთის საშუალებით ვაცნობო საზოგადოებას ანგარიში იმ ქართულის წარმოდგენისა, რომელიც კიევის ქართველ სტუდენტების სასარგებლოთ იქმნა გამართული ბორჯომში 30 ივლისს სტუდენტის ალ. ბეთანიშვილისაგან.

1) ბილეთების გაყიდვიდგან—290 მ., 2) კერძოდ შემოწირული—30 მ. და სულ. 320 მ. ხარჯი: ქართველ და რუს არტისტების ამხანაგობას 200 მ. ზურნა-დუდუკს (სურამიდგან გამოწერილი) 15 მ.; წვრილათ დაიხარჯა 1 მ. 45 კ. და სულ ხარჯი 216 მ. 45 კ. წმინდა შემოსავალი სტუდენტების სასარგებლოთ დარჩა 103 მ. 55 კ.

ალ. ბეთანიშვილი.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

9 აგვისტო.

**პეტერბურგი.** ექიმი ანრეპი დანიშნულ იქნა ქალთა საექიმო ინსტიტუტის დირექტორად.

„ნოვოსტები“ ამბობს, რომ სახალხო განათლების სამინისტროს ახალი წესი შეუდგენია ეკზამენებისა რეალურ სასწავლებლებში.

**პარიზი.** ამბობენ, რომ კილის დღესასწაულების გამო იქ დამსწრე ადმირალ მენარს და იმის ამალას პრუსიის ორდენები ებოძათ, ხოლო გერმანიელ ადმირალს კნორს და ზოგს გერმანიის ზღვის ოფიცრებს—ორდენი «საპატიო ლეგიონისა».

**ბერლინი.** კერძოდ იუწყებიან უსკუბიდგან, რომ ბულგარიის ლაშქარს აწვევენ. იქ, სადაც გარეშე ქვეყნების საკონსულო არ არის, უკვე შეუკრებიათ 80,000 ჯარის კაცი.

**სოფია.** ოსმალოს საზღვრის მახლობლად ბულგართა სოფელი დოსპატე გაანადგურეს აჯანყებულებმა, რომელიც ოსმალოში გადავიდნენ და დაიმალნენ. ამბობენ: ავაზაკები დაპატიმრეს და სამხედრო სამართალში უნდა მისცენო.

**ჰონკონგი.** ჩინეთის მთავრობამ აღუკრძალა ინგლისის და ამერიკის კონსულებს დასწრებოდნენ ჩვენების ჩამორთმევაზედ იმ ბრალდებულთა, რომელთაც მისსიონერები გაუწყვეტიათ.

---

გუშინ, 9 აგვისტოს, ტფილისის ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში მეორედ იყო დანიშნული საჯარო ვაჭრობა მამულებისა; იყიდებოდა 11 მამული; 5 ქალაქისა და 6—სოფლისა. ამათთაგან ბანკს დარჩა სამი ქალაქისა და სამი სოფლის, სხვა გაიყიდა.

---



# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ფ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სტროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ი ს ყ ი დ ე ბ ა

**თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის** სურათებიანი ფოსტის ქაღალდები.

ფასი თითო ექსემპლარისა 15 კაპ.



---

თავსდებოდა, ცოტა ხნის შემდეგ თითოეული პურის-საცხობი გადავიდა სრულს, რამოდენიმე სართულიანს შენობაში და ოპერაცია, ვაჭრობაც დიდად გაფართოვდა. ასეთს საცხობებთან დააარსეს, რადგან გარემოება ხელს უწყობდა, ყველა საჭირო ნივთების, მაგ. ტანისამოსის, ფეხსაცმლის, შეშა-ნახშირისა და სხვ. საწყობები, ასე რომ პურის ამხანაგობა რამდენიმე ხნის განმავლობაში გადაიქცა ვეებერთელა ამხანაგობად, რომელიც მუშის ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და მილიონებს ატრიალებს, მაგრამ ამხანაგობის დედა-ბოძად მაინც პურის-საცხობი რჩება; Vooruit-ის ამხანაგობაში პურის საცხობი იძლევა 78% წმინდა შემოსავლისას, Maison du Peuple 96%, Progres-93% და სხვა.

ყოველივე საამხანაგო დაწესებულების პატრონად ითვლება, რასაკვირველია, მთელი კრება ამხანაგობის წევრებისა, მაგრამ ნამდვილ-კი ამხანაგობის საქმეს აწარმოებენ ადმინისტრატორები, რომელნიც დანიშნულნი არიან ამხანაგობის წევრთა კრებისაგან; თითოეული ადმინისტრატორი თავისს შრომის ფასად იღებს განსაზღვრულს ჯამაგირს. ნოქრებს, პურის-მცხობლებს და ამხანაგობის სხვა მსახურებს იჭერენ ჯამაგირით ადმინისტრატორები.

თითოეული ამხანაგობა თავისს წევრების მარტო ქონებრივ მდგომარეობაზედ არ ზრუნავს; იმას წევრებისათვის ჰყავს დაქირავებული ექიმი, აქვს გამსესხებელ-შემნახველი კასსა და სხვა-და-სხვა. ყოველ საამხანაგო დაწესებულებასთან არის უსათუოდ უდიდესი ოთახი, სადაც იმართება ხოლმე სახალხო კრება, ლექციების კითხვა, კონცერტები და წარმოდგენანი; იქვეა წიგნთ-საცავი სამკითხველოითურთ, სასაღამო კლასები მოზრდილთათვის და ბავშვებისათვის.

მომხმარებელი ამხანაგობა მთელი უბნისათვის ხდება ცხოვრების დედა ძარღვად; თვითონ შენობა ამხანაგობისა-კი სავაჭრო სახლიცაა, კლუბიც და საბჭოც. ბელგიელები თვითონ მომხმარებელი ამხანაგობების დიდს ქებაში არიან და უწინასწარმეტყველებენ საოცნებო მომავალს; მუშებს-კი ეს ამხანაგობანი მიაჩნიათ თავისს შემოსავლის უმთავრეს წყაროდ და ერთ დიდ შემაერთებელ-შემაკავშირებელ ძალად. სადაც შეერთებული ძალაა, იქ გამარჯვებაცაა, ამბობენ ბელგიელები.

ამხანაგობები იძლევიან საშუალებას, ფულს გაზეთების, ბროშიურებისა და სხვათა გამოსაცემად.

—

დიდი ხანი არაა მას აქეთ, რაც რუსეთშიაც დაიწყეს აქა-იქ დაარსება მომხმარებელის ამხანაგობებისა. ამ უკანასკნელს ორს წელიწადს ზოგან რუსეთში ადგილობრივმა მთავრობამაც მიაქცია ყურადღება პატარ-პატარა სავაჭრო სახლების დაარსებას. ამას წინად პოდოლის გუბერნიის გუბერნატორმა ცირკულიარით მიჰმართა ადგილობრივს ადმინისტრაციას თავის გუბერნიაში, „დაუყოვნებლივ შეუდექით პატარა და დიდ სოფლებში სახალხო მომხმარებელ ამხანაგობათა დაარსებასაო. ამგვარი განკარგულება, როგორც ამბობს ერთი რუსული ჟურნალი, გამოიწვია მოგილევის მაზრის მომრიგებელ-შუამავალის ოკულოვის კეთილმა მაგალითმა. ამ პატივცემულს კაცს იმ მაზრაში, რომელშიაც მსახურებს, დაუმართავს ხუთს მოზრდილს სოფელში სავაჭრო სახლები. ნახევარის წლის განმავლობაში ამათი მოქმედების ნაყოფი მშვენიერია. თავნი ფული, რომელიც 333—600 მანეთზე მეტი არა ჰქონია, არც ერთს სავაჭრო სახლს, ერთ დეპოში $3^1/_2$ ჯერ დატრიალებულა ნახევარი წლის განმავლობაში, დანარჩენებში-კი 4—5 ჯერაც. აქედამ სჩანს, რომ საქონელს, რომელიც სავაჭრო სახლიდამ იყიდება 10%-ით (ე. ი. მანეთად ღირებული საქონელი იყიდება 1 მ. 10 კაპ.), ნახევარ წელიწადს მოუტანია 55%; მაშასადამე, ზემო-ხსენებულს სახლებს ½ წლის შემდეგ თითოეულს წმინდა მოგება დარჩენია 116 მ. 55 კაპ.—300 მანეთამდის. ერთი წლის შემდეგ ხომ ის 333 მან., რომლითაც ვაჭრობა დაუწყიათ ზოგიერთს დეპოში, თავნის თავნს მაინც მოიტანს, ე. ი. 333 მან. გახდება 666 მან., 600 მან.-კი 1200 მანეთად.

„აი ასე სარგებლიანი და ხელის-მომცემი ყოფილა წვრიმალი ვაჭრობა,“ დასძენს ხსენებული ჟურნალი; „როდესაც სავაჭრო სახლი ჩვეულებრივ ვაჭრებთან შედარებით ასე დაკლებულის სარგებლით ასაღებს საქონელს, გლეხს რჩება მაშინ წელიწადში ორი მანეთი იმ ფულიდამ, რომელიც იმას აქამომდის ეხარჯებოდა ოჯახისათვის სხვა-და-სხვა საყიდელში. გარდა ამისა, ის კიდევ რად ღირს, რომ უვიცი გლეხი დაზღვეულია, თუ ასე შეიძლება ვსთქვათ, ვაჭარ-ჩარჩებისაგან წონა-ზომაში და სხვა გვარად მოტყუვებაში. ალბად ასეთმა ცოცხალმა ფაქტმა გააბედვინა ხსენებულს გუბერნატორს ისეთი ბრძანებითი კილოთი მიმართვა დეპოების დაარსების გამო შუამავალ მომრიგებელთა მიმართ, რომელთაც, რუსულის ჟურნალის თქმისა არ იყოს, თავისი საკუთარი სამსახური აქვთ და ამისგარეშე ყოველივე დავალებას გულ-გრილად მოეპყრობიან, გარდა იმ ერთი-ორი კაცისა, რომლებსაც მართლაც გული შესტკივათ ხალხის დაცემულის მდგომარეობისათვის და ხალისიანად ეკიდებიან საქმეს *).

ი. ხოტეველი.

—

*) ამას წინად რუსულ-ენაზედ გამოვიდა ერთი საყურადღებო წიგნი, დიდად სასარგებლო იქ, სადაც მომხმარებელი ამხანაგობანი არსდებიან, ეს წიგნია—И. Х. Озеровъ. Общества потребителей. Исторический очеркъ ихъ развития въ Западной Европѣ, Америкѣ и Россіи, и краткое руководство къ основанію и веденію потребительныхъ обществъ. Подъ редакціею и съ предисловіемъ проф. Янжула.

# ბ ა ლ ა ნ ს ი

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 1 ივლისისათვის 1895 წლისა.

## აქტივი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასსაში | 154,698 | 99 | | |
| გირავნობის ფურცლებით | 52,800 | — | | |
| კუპონების ახალ ფურც. ბანკ გირავ. ფურც შესაცვ. | 23,760 | — | | |
| ძველის ტალონებით გირავნობის ფურც., რომელნიც დანიშნულნი არიან მოსასპ. | 69,700 | — | 300,958 | 99 |
| 2) მიმდინარე ანგარიშ. სხვა-და-სხვა ბანკებში | 196,049 | 62 | | |
| 3) კორესპონდენტები: | | | | |
| ს.-პეტერბურგის კერძო საკომერციო ბანკში. | 305,813 | 67 | | |
| ს. პეტერბურგის გამნაღდებელ და გამსესხებელს ბანკში | 197,461 | 02 | | |
| მოსკოვის გამნაღდებელ და გამსესხებელ ბანკში | 9,114 | — | | |
| ა, ლიონის კრედიტი | 20,262 | — | | |
| ბ, საერთა შორისო საკომერციო ბანკში | 2,294 | 50 | | |
| გ, ო. ხაისი ოდესაში. | 399 | 30 | | |
| დ, ვარშავის საკომერციო ბანკში. | 6,423 | 18 | | |
| ე, ძმათა გოლდლუსტებთან. | 56 | 03 | 737,873 | 32 |
| ვ, საწევრო შესატანი ტფილ. საურთ. კრედიტის საზოგად. | — | — | 60 | 57 |
| ზ, კორესპონდენტები გირავნობის ფურცლებით. | — | | 250,800 | — |
| 4) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები და გარდამავალნი: | | | | |
| ა, სახელმწ. და მთავრობის გარანტ. ქაღალდები შენახულნი სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. 89,600. | 84,306 | 92 | | |
| ბ, % ქაღალდები სათადარიგო თანხისა 226,700 | 216,873 | 43 | | |
| გ, კორესპონდენტებთან 38,000 | 35,720 | — | | |
| % ქაღალდები შენახ. სახელმწ. ბანკ. გირავნ. ფურცლების უზრუნველ საყოფელად 496,000 | 491,827 | 50 | | |
| დანარჩენი ფასიანი ქაღალდები 44,200 | 53,459 | 14 | 882,186 | 99 |
| 5) დიდ ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულ არიან ბანკის 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით | | | | |
| ა, მამულის გირაოზედ 54½ წლით 132,401—90 | | | | |
| ბ, მამულის გირაოზედ 43½ წლით 78,139—42 | | | | |
| გ, ქალაქის უძრავ ქონებათა 27½ წ. 70,979—95 | 281,521 | 27 | | |
| ვადაზედ გარდახდლი სესხი 4,369—76 | | | | |
| ვადამდე გარდახდილი სესხი ნაღდ ფულით 208,—97 | 4,578 | 73 | 286,100 | — |
| 6) დიდ ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის წესდების ძალით 17 თებერვალს 1881 წ. და გირაოდ მიღებულს მამულზედ ურთიერთთ-შორის თავდებობის ქვეშ: | | | | |
| ა, მამულის გირაოზედ 61 წ. 8 თვით 1,924,071—40 | | | | |
| ბ, მამულის გირაოზედ 48 წ. 8 თვით. 10,165—26 | | | | |
| გ, მამულის გირაოზედ 43½ წლით 750,174—98 | | | | |
| დ, მამულის გირაოზედ ქალაქის უძრავ მამულებისა 36 წ. 4 თვით 9.757,672—30 | | | | |
| ე, მამულის გირაოზედ ქალაქის უძრავ მამულებისა 27½ წლით 2.308,505—88 | | | | |
| ვ, მამულის გირაოზედ ქალაქის უძრავ მამულებისა 29 წ. 9 თვით 43,295—54 | | | | |
| ზ, მამულის გირაოზედ ქალაქის უძრავ მამულებისა 19 წ. 11 თვით 143,512—90 | | | | |
| ჱ, მამულის გირაოზედ ქალაქის უძრავ მამულებისა 54 წ. 6 თვით 22,336—20 | 14.959,734 | 46 | | |
| ვადაზედ გარდახდილი სესხი 105,252—02 | | | | |
| ვადამდე გარდახდილი სესხი ნაღდ ფულით 82,113—52 | 187,365 | 54 | 15.147,100 | — |
| | | | 122,400 | — |
| 7) სესხი, გასაცემად დანიშნული | | | 481,600 | — |
| გირავნობის ფურცელნი, რომელნიც გამოცემ. არიან კონვ. მონდ სესხით | | | | |
| 8) შეღავათიანი გარდასახ. (§ 13 წესდ.): | | | | |
| ა, დიდ-ვადიანს სესხზედ | 372,348 | 69 | | |
| ბ, მოკლე ვადიანს სესხზედ | 6,011 | 72 | 378,360 | 41 |
| გ, დანაწილებულნი შესატანნი | | | 4,520 | 81 |
| 9) ვადას გადაცილებული შესატანი | | | 81,690 | 82 |
| ჯარიმა ვადაზედ შემოსატანის დაგვიანებისათვის | | | 12,307 | 30 |
| 10) მოკლე ვადიანი სესხნი | | | 275,954 | — |
| 11) საკომისიოდ მიღებული გირავნ. ფურცლები 229,900 | | | 210,731 | 34 |
| 12) დასაბრუნებელი ხარჯი | | | 34,483 | 28 |
| 13) ვადამდე გარდახდილი კუპონები. | | | | |
| 14) 5% სახელმწიფო გარდასახადი კუპონებზედ. | | | | |
| 15) კუპონებსა და ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებზედ გარდახდილი ფული. | | | 32,292 | 12 |
| 16) ხარჯი: | | | | |
| ა, ბანკის მომართვა-მოწყობისათვის. | 2,242 | 58 | | |
| ბ, გამგეობა-მმართვისათვის. | 42,745 | 83 | 44,988 | 41 |
| 17) ტფილისის სათავად-აზნაურო და წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სასწავლებლის ხარჯი, რომელიც დაბრუნებულ უნდა იქმნეს საზოგადოების თანხიდგან. | | | | |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | | | 19,284,408 | 36 |

## პასივი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის ფული: | | | | |
| ა, დიდ-ვადიანის სესხისათვის. | 190,085 | 29 | | |
| ბ, მცირე-ვადიანის სესხისათვის. | 233,341 | 70 | 423,429 | 99 |
| 2) სათადარიგო თანხა: | | | | |
| ა, სესხისა, რომელიც გაცემულია 28 მაისს 1874 წ. წესდების ძალით. | 32,016 | 21 | | |
| ბ, ურთიერთ შორის თავდებობით გაცემულ სესხისა. | 194,121 | — | 226,137 | 21 |
| 3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის. | — | — | 8.612 | 54 |
| 4) ზედამხედველის კომიტეტის ხელშია. | — | — | 131 | — |
| 5) საყოველ-შემთხვევო თანხა. | — | — | 12,966 | 59 |
| 6) გირავნობის ფურცლები დასახურდავებლად გაცემულნი 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით. | | | | |
| 54½ წლით | 133,200 | — | | |
| 43½ წლით | 78,600 | — | | |
| 27½ წლით | 74,300 | — | 286,100 | — |
| 7) გირაოს ფურცლები, რომელნიც გამოცემულნი არიან ურთიერთ შორის თავდებობით გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებათა: | | | | |
| 6%—43½ წლით | 658,650 | — | | |
| 6%—27½ წლით | 1,770,450 | — | | |
| 5%—61 წ. და 8 თვით | 126,900 | — | | |
| 5%—48 წ. და 8 თვით | 6,300 | — | | |
| 5%—36 წ. და 4 თვით | 997,100 | — | | |
| 5%—29 წ. და 9 თვით | 26,400 | — | | |
| 5%—უვადოდ. | 11.479,500 | — | 15,055,300 | — |
| 8) გირავნობის ფურცლები, ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რომელიც სარგებლიდგან გადადებულ იქმნენ წესდების 89 § ძალით, არა სავალდებულო გარდასახადის მოსასპობლად. | — | — | 91,800 | — |
| 9) გირავნობის ფურცლები გამოსაცემად დანიშნულნი. | — | — | 122,700 | — |
| გირავნობის ფურცლები ექსპედიციის მიერ გამოცემულნი | — | — | 109,400 | — |
| 10) გირავნობის ფურცლები მიბარებულნი. | — | — | 6,200 | — |
| 11) ვადამდე მოსასპობად დანიშნულნი სესხნი: | | | | |
| ა, გირავნობის ფურცლებით. | 106,900 | — | | |
| ბ, ნაღდის ფულით. | 82,322 | 49 | 189,222 | 49 |
| 12) ტირაჟში გამოსული გირავნობის ფურცლები, ჯერ გადასახდელად წარუდგენელები: | | | | |
| 6% | 739,900 | — | | |
| 5% | 183,500 | — | | |
| 6% გირავნობის ფურცლები ტირაჟში გამოსულნი 1-ლის კონვერსიით. | 48,600 | — | | |
| „ „ „ „ 2-თი. | 481,600 | — | 1,453,600 | — |
| 13) გირავნობის ფურცლების გარდასახდელი კუპონები | | | | |
| 6% | 106,640 | 10 | | |
| 5% | 319,145 | 50 | 425,785 | 60 |
| 14) სარგებლის ფონდი: | | | | |
| 6% | 81,456 | — | | |
| 5% | 315,655 | — | 397,111 | — |
| 15) თავნის გასასტუმრებ. ფონდი (არა ურთიერთ შორის თავდებ. გაცემულ სესხისა). | | | | |
| 54½ წლით | 553 | 37 | | |
| 43½ წლით | 608 | 34 | | |
| 27½ წლით | 3,208 | 05 | 4,369 | 76 |
| 16) თავნის გასასტუმრ. ფონდი (ურთიერთ შორის თავდებ. გაცემ.) | | | | |
| 6%—43½ წლით | 3,205 | 89 | | |
| 6%—27½ წლით | 29,090 | 96 | | |
| 5%—61 წ. 8 თვით | 140 | 94 | | |
| 5%—48 წ. 8 თვით | 23 | 49 | | |
| 5%—36 წ. 4 თვით | 6,336 | 96 | | |
| 5%—29 წ. 9 თვით | 232 | 63 | | |
| 5%—უვადოდ. | 66,221 | 15 | 105,252 | 02 |
| 17) თავნის გასასტუმრ. ფონდი არა სავალდებ. გარდასახ. იმ გირაოს ფურცლ., რომლ. ურთიერთ შორის თავდებობით არიან გამოცემულნი. | — | — | 20,765 | — |
| 18) გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა, ნაღდი ფულით. | 42,421 | 55 | | |
| ბ, იანვარში შესატანი 1896 წლ. | 289 | 71 | | |
| გ, გირავნობის ფურცლებით. | 80,800 | — | | |
| დ, სახელმწიფო სარგებლიან ქაღალდებით. | 500 | — | 124,011 | 26 |
| 19) კორესპონდენტები. | — | — | | |
| 20) მსესხებელნი. | — | — | 11,173 | 44 |
| 21) ფონდი დაფასებისა და სხვა ხარჯად. | 88,402 | 56 | | |
| 22) მცირე-ვადიანის სესხის %. | 7,470 | 53 | | |
| 23) ჯარიმად გარდასახადი. | 16,562 | 84 | | |
| 24) სხვა-და-სხვა პროცენტი. | 3,973 | 40 | 116,409 | 33 |
| 25) კუპონების ახალი შესაცვლელი ფურც. | 23,760 | — | | |
| 26) ძველი გასაუქმებელი ტალონები. | 69,700 | — | 93.460 | — |
| 27) 5% გარდასახადი კუპონებზედ. | — | — | 471 | 13 |
| ბ ა ლ ა ნ ს ი | | | 19,284,408 | 36 |

Дозволено цензурою, Тифлисъ 8 го Августа 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.